№ 129. 20 ივნისი, პარასკევი. 1866—1880 20 ივნისი, პარასკევი № 129.

**რედაქცია**

ერევნის-მეიდანზე, შუასაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ რაჟუთინსკის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროებას“ და „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ, въ редакціи „Дроэба“ и „Иверія“

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროებას“ და „ივერიას“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით ა-რულით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

**დროება**

1 ივნისიდამ წლის დამლევამდინ ღირს ექვსი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად 1 ივნისიდამ წლის დამლევამდინ („ივერიის“ სამი წიგნი) ღირს ცხრა მან.

(ამ წლის „ივერიის“ პირველი წიგნი რედაქციაში აღარ არის).

## ტელეგრამმები

(სააგენტოს შორის სააგენტოსი)

**პარიჟი**, 18 ივნისს. სრულიადი პატიების კანონ-პროექტის ბედი ჯერ კიდევ არ არის უცაბედობისაგან დაცული; არა თუ სენატის ბიურო, არამედ მისგან ამორჩეული კომმისია იმისთანა პირებისაგან შედგება რომ საეჭვოა ეს კანონ-პროექტი მიღებულ იქმნეს. იეზუიტების აღკრძალულ საზოგადოებათა ჯერ არ მიუღიათ არავითარი ბრძანება მმართებლობისაგან. მაგრამ იმათ მაინც დაემზადნენ თავიანთ დაწესებულებათა დაცლისათვის. ამასთანავე ისინი წინააღმდეგობას გასწევენ იმდენად, რომ საკმაო იქნება შემდეგ მათ ოჯახებში პოლიციის ძალად-შესევაზე საჩივრების დაწყება. „ბოლოსის“ კორრესპონდენტი იწერება, რომ ის დაესწრო იეზუიტების ეკკლესიაში წირვას, დამსწრეთა შორის ყოფილარიან აგრეთვე ყოფილი პრეზიდენტი მარშალი მაკ-მაჰონი, ჰერცოგ ბროლჰი, ბიუფფო და სხვ. რეაქციის მომხრენი. დღეს დილის 4 საათიდამ ელოდენ იეზუიტების განძევებას. სასამართლოებში მოსამსახურენი, მეტადრე პროკურორები ამ ბოლო დროს ხშირად გამოდიან სამსახურიდამო.

**ბერლინი**, 18 ივნისს. გუშინდელ კონფერენციის სხდომაზედ გადაუწყვეტიათ, რადგანაც მისი საქმენი ამ მოკლე დროში გათავდებიან, ცოტათი შეამცირონ სხდომების გარდაწყვეტილებათა საიდუმლოდ დაცვის სიმკაცრე. მოელიან ოსმალ-საბერძნეთის შუა ახალ საზღვრის ქარტის გამოცხადებას. საზღვრის სტილოს კონცხიდამ გამოყვანაზე კონფერენციამ უარი სთქვა, რადგანც, თუ ასე არა, ძალიან შესაძლებელი იყო ალბანიელებს და ბერძნებს სისხლის ღვრა მოეხდინათ. საზღვრის გაყვანის დროს კონფერენცია გულის-ხმობდა ადგილთა სტრატეგიულ მნიშვნელობას, მაგრამ ისე კი რომ არც ერთ მესამზღვრეთაგანს არ მისცემოდა ერთმანეთზე სამხედრო წარჩინება. მეორე მნიშვნელობიან საქმეებს, როგორც ისმის, კონფერენცია ოფიციალურად არ განიხილავს, რადგანც მისი ვალდებულება მხოლოდ საზღვრის გაყვანა იყო. ადგილობრივ ტეხნიკურ კომმისიის შედგენას და აგრეთვე თავის გადაწყვეტილებათა ათინაში და სტამბოლში შეტყობის წესს კონფერენცია არ ვარდაწყვეტს. ამ ორივე საქმეს სახელმწიფოები ურთი-ერთ შორის გადაწყვეტენ.

ბოლგარიის მთავრობას უცნობებია ვენის მმართველობისთვის, რომ გარდა იმ პატარა ციხეებისა, რომელნიც საომარ მასალების შესანახავად არიან საჭირონი, დანარჩენ ციხეებს მალე დაანგრევენ. ავსტრი-ვენგრიის ნოტაზე არაბ-ტაბიის შესახებ რუმინიამ პასუხი აგო, რომ უწყებული მიწის ბოლგარიისათვის დათმობა, თუმც აუქმებს სილისტრიასთან ხიდის გაკეთების განზრახვასო, მაგრამ რუმინია მაინც ხმა-ამოუღებლად ემორჩილება ბერლინის კონგრესის განაჩენზე ხელ-მოწერილთ სახელმწიფოთა გადაწყვეტილებასო.

**პეტერბურღი**, 18 ივნისს. დღეს გადის კრონშტადიდამ კეთილ-მსურველი კრეისერი „რუსეთი“ დატვირთული სამხედრო და წითელი ჯვრის ნივთებით, და ორი ნაღმოსანნი ნავები, რომელნიც ვლადივოსტოკისაკენ მიდიან. კრეისერზე 76 კაცია 1-ში და 2-რე კლასებში და 3-ში 1,200. „რუსეთზე“ ამართულია სამხედრო დროშა. კრეისერი ზაფსალში შეიარს რომ გამოემშვიდობოს უავღუსტოესს მფარველს კეთილ-მსურველის ფლოტისა ზღვის სამინისტროს გამგეს; ესკადრის კომანდირი მდორე ოკეანეში ლესოვსკი 25 თიბათვის შემდეგ ოდესაში მივა იქიდამ კონსტანტინოპოლში, შემდეგ კაიროში წავა, სადაც ჩაჯდება კრეისერს „მერრპაში“, რომელიც ჩინეთისაკენ მიდის

---

## ქართული ბიბლიოთეკა

ტფილისი, 19 ივნისს.

ბევრჯერ ყოფილა ჩვენში ლაპარაკი ქართულის ბიბლიოთეკის გამართვაზედ; ბევრჯერ გამოუწვევიათ ძველის წიგნების მქონენი, შეაგროვონ ერთათ ყველა ძველი წიგნები და ჩააგდონ ქართულის ბიბლიოთეკის საძირკველი, მაგრამ დღემდის არც ბიბლიოთეკა გამართულა, არც რიგიანი მოთავე გამოჩენილა, რომ ეს საქმე ეკისროს და აესრულებინოს კიდეც.

ეხლა ეს საქმე საზოგადოებას უკისრია და იქნება რაც ცალკე პირთ ვერ მოახერხეს, საზოგადოებამ მაინც მოახერხოს. „წერა-კითხვის საზოგადოებას“ გადაუწყვეტია ქართულის ბიბლიოთეკის გამართვა და ამ ბიბლიოთეკის წესი კიდეც გამოაცხადა ჩვენის გაზეთის 124 №-ში.

იმაზედ ლაპარაკი საჭირო არ არის, რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან ქართულს ბიბლიოთეკას, რომელშიაც შეძლებისამებრ ყველა ქართული

---

## ფელტონი

—

### სამეცნიერო საუბარი

„წყლები“ და მათი სარგებლობა.—ზღვის პირზედ სეირნობა რათ არის მარგებელი?—მლაშე ჰაერი.—ცეცხლის გასაქრობი მაშინები.—„საუკეთესო მაშინა“.—ჭკაერგვარი ლითონებში.

—

დადგება თუ არა გაზაფხული აუარებელი ხალხი მიდის „წყლებზედ“. მიდიან ბორჯომში, აბასთუმანში, უცხო ქვეყნებში, ზღვის ნაპირებზედ. ამ წყლების სტუმრები ზოგნი მართლა ავათმყოფნი არიან და წყლებისაგან განკურნებას მოელიან, ზოგნი ავათმყოფობენ და ზოგნი ისე სასეირნოთ მიბძანდებიან.

ამ უკანასკნელებს თავი დავანებოთ და გავიგოთ მართლა ჰრგებენ ავათმყოფებს ზოგიერთი წყლები თუ არა, ან თუ რგებენ, რაგვარათ.

ვახუშტი ამბობს თავის გეოგრაფიაში ერთს სოფელზედ ქართლში—არადეთზედ, აქ არის წყარო, რომელიც კენჭის ავათმყოფობას უსპობს ადამიანსაო. ამ სოფლელებისაგან გამიგონია, რომ თვალსაჩინო წყარო ეხლა იქ არა არის-რა, მაგრამ ადვილათ შესაძლებელია, რომ ამ სოფელში ვახუშტის დროს ამ გვარი წყარო ყოფილიყოს და შემდეგ დაუდევრობის გამო ნაპირები ჩამოქცევოდეს და მიწის ქვეშ დამალულიყოს. თუ ვინიცობაა როგორმე ვიპოვით ამ წყაროს, იქნება გამოჩენილს „ვიშის“ წყაროსთანა ძალა გამოიჩინოს.

ვიშის წყალში ურევია ნაცარტუტის გვარი ნივთიერება, რომელიც ბევრს ავათმყოფობას ძალას უკარგავს. ერთი ექიმი ამბობს, თუ ამ ნივთიერებას კაცი დღეში ხუთის გრამის ოდენს მიიღებს, საჭმლის მონელება უფრო გაუადვილდება, სისხლიც გაუკეთდება და კაცი ისე სალაღა ჰგრძნობს თავსა, როგორც მუშაობისაგან დასვენების შემდეგა.

ამას გარდა კენჭის ავათმყოფობა უფრო იმისაგან წარმოსდგება, რომ შარდის ბუშტში გროვდება „შარდის მაცვე“ და ყოველივე ნაცარტუტის მზგავსი ნივთიერება უერთდება ყოველსავე მაცვე ნივთიერებას და ძალას უსპობს. ამ გვარათვე უსპობს ძალას ვიშის წყლის ნივთიერება შარდის მაცვეს და ადამიანს ამ საშიშარს ავათმყოფობას თავიდამ აშორებს.

თუ ვახუშტის სიტყვა ნამდვილია, არადეთის წყაროშიაც იქნებოდა ნაცარტუტის მზგავსი რამე.

* * *

ზღვის პირზედ მოგზაურობა რაღათ ახალისებს კაცს, რათა ჰრგებს ავათმყოფებს?

ზღვის ტალღები როდესაც მის ნაპირზედ დაყრილს კლდეებს ეჯახებიან წვრილ-წვრილად განიყოფებიან და იბნევიან ჰაერში. ერთს ხომალდზედ დააკვირდენ, რა სიმაღლეზედ შეუძლიან ზღვის წუნწკლებს კარგს დარში ასვლა და ნახეს რომ ერთგვარს წითელს მარილს, რომელსაც ზღვის მარილის მიკარებით რუხვი ფერი ედება 35 მეტრის სიმაღლემდე ცოტათ თუ ბევრათ რუხვი ფერი დაედო და მხოლოდ ამ სიმაღლეს ზევით რჩებოდა წითლად.

სჩანს რომ ჰაერი კაი დარში 35 მეტრის სიმაღლეზედაც კი (17 საჟენამდე) მლაშეა და რასაკვირველია ეს სიმლაშე დაბლა იმატებს. ავი დარისა და ქარიშხალის დროს იქნება წუნწკლები ერთი ორათა და სამათ უფრო მაღლა ავიდნენ.

ზოგსა ჰგონია რომ ეს ჰაერის სიმლაშე ზღვის ზედა-პირზედ არის მიზეზი იმის სისაღისა, რადგან ზომიერათ მიღებული მარილი ყოველთვის ჰრგებს ადამიანის აგებულებაა.

* * *

დადგება თუ არა გაზაფხული, ხალხს ერთი უბედურება შემოესევა, რომელსაც წინ-წასულს ქვეყნებში კი ადვილათ იცილებენ თავიდამ, მაგრამ უკან-ჩამორჩომილებში უთვალავს ქონებას ღუპავს.

ეს უბედურება—ცეცხლია.

იმისთანა ქალაქში, როგორც პარიჟი და ვენაა ცეცხლი ძვირათა ჩნდება და თუ ჩნდება იმდენი ღონისძიება აქვთ, რომ ადვილათ მოსპონ. მაგრამ, მაგ. რუსეთსს წელიწადში რამდენიმე მილიონი ზარალი მოსდის ცეცხლისაგან.

ხელთ-ნაწერები და დაბეჭდილი წიგნი იქნება მოგროვილი. ყველამ იცის, რომ ქართული ლიტერატურა და ენა ვერ წავა წინ, ვერ განვითარდება, თუ ხანდისხან მაინც გამტვერიანებულს წიგნებში არ ჩავიხედეთ და ჩვენის ძველის ცხოვრების, ჩვენის ძველის ენის ვითარება არ შევიტყეთ. ყველამ იცის ესა და ყველას გამოცდილი აქვს, ვისაც კი ქართულათ საწერად კალამი ხელში აუღია, როგორ ხშირათ შემოაკლდება სახმარი საჭირო სიტყვები, როგორ სჭირდება ხანდისხან ძველს წიგნში ჩახედვა, მაგრამ ვის მიმართოს, სად მონახოს არ იცის.

განათლებულს ქვეყნებში ბიბლიოთეკებს ისე ინახვენ, როგორც ჩვენში წმინდანების ძვლებს ინახავდენ; მილიონებს არა ზოგვენ, რომ მშვენიერი შენობები ააშენონ ამ საქმისთვის, ძნელათ მოსაპოვებელს წიგნში ასსა და ორას თუმნობით აძლევენ და ისე მართვენ, ცოტაც არის ცეცხლი გაჩნდეს ბიბლიოთეკაში, მაშინვე წყალი მზათა ჰქონდესთ გასაქრობად.

ჩვენც თითქო განათლებულებში ვდგამთ ფეხსა, მაგრამ საქმით ვამტკიცებთ, თუ არა, საეჭვოა.

რატომ არ გაიმართა დღემდის ჩვენში ბიბლიოთეკა?

ამის მიზეზი ჩვენის აზრით ორ-გვარია: ერთი საშუალების უქონლობა; მეორე წიგნების მქონეთაგან დაუნდობლობა.

„წერა-კითხვის საზოგადოებას“ საშუალება ბიბლიოთეკის გასამართავად თუ არა, იმის ჩასასახავად მაინც აქვს და რაც შეეხება იმ პირთ, რომელნიც თავიანთ წიგნებს არ იმეტებენ, დაგვეკარგებიანო, ჩვენ დავუსახელებთ ერთს პარაგრაფს ახალის ბიბლიოთეკის წესდებისას:

„არავითარის სახით და არავის არ „მიეცემა ბიბლიოთეკიდამ წიგნი შინ „წასაღებათ.“

ამ პარაგრაფმა უნდა მოსპოს მეორე მიზეზი ბიბლიოთეკის გაუმართველობისა. აქამდის წიგნებს არავინ იძლეოდა, ამიტომ რომ დარწმუნებული იყო თუ წაიღებდა ვინმე უკან აღარ დააბრუნებდა; ეხლა წესდების ძალით ბიბლიოთეკიდამ წიგნს ვეღარავინ წაიღებს; ვისაც სურს „წერა-კითხვის საზოგადოების“ წევრს, თუ უცხოს, მივა და ბიბლიოთეკაში წაიკითხავს.

იმედი გვაქვს, რომ ამ პარაგრაფს ყველა მიაქცევენ ყურადღებას, ვისაც კი თავის ზანდუკში ძველი წიგნები ეგულვება და არ დაზოგავს შესაწირად, ან გასასყიდად, რაკი დარწმუნებული იქნება, რომ ამით ის მთელს საზოგადოებას მოუტანს სარგებლობას და ერთის ზანდუკიდამ მეორე, უცხო პირის ზანდუკში არ გადასცემს.

თუმცა „საზოგადოების“ საშუალება ამ საქმისთვის დიდი არ არის, მაგრამ ზოგიერთს ბევრის ქართულის წიგნების მქონეს განუზრახავს შეწირვა თავიანთ ბიბლიოთეკებისა.

თუ ამ გვარს მაგალითს ბევრმა მიჰბაძა, მაშინ საზოგადოებას შეეძლება მცირე ღონით დიდის საქმის გაკეთება და იქნება მერმის ამდროს ამ საქმისათვის გადადებულის 5000 მან. შემწეობით 5000 მანეთის ფასის ბიბლიოთეკა გვქონდეს გამართული!

## ახალი ამბები

სამეურნეო საზოგადოებას დაუნიშნავს კომმისია ადგილის გამოსარჩევათ სამეურნეო შკოლისათვის. ეს კომმისია ამ დღეებში უნდა წავიდეს ქართლში და მოსძებნოს ალაგი: რომელს სოფელში უფრო უკეთესი იქნება ამ შკოლის გამართვა; ასახელებენ სხვათა-შორის შემდეგს სოფლებს: ახალ-ქალაქს, რუისს, საქაშეთს; ეს შკოლა ლოჭინის შკოლის სამაგიერო უნდა იყოსო.

* * *

დიდი ხანია, რაც გამოვიდა ახალი ქართული წიგნი „ქართველ-ქალებისაგან ნათარგმნი მოთხრობანი,“ მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ეს წიგნი დღემდის არ იყიდებოდა, მხოლოთ დღეიდამ შეიძლება იმისი შოვნა წიგნის მაღაზიებში.

ამ წიგნში სამი მოთხრობაა: 1) სოფელი ტრეპპი პოლ ზეიზესი, თარგ. ეკ. გაბაშვილისა; 2) ანტუან მატიე—პოლ ზიეზისა, თარგმ. ა. ნ. და 3) მკერვალი ქალი ვაგნერისა, თარგ. თ. ავალიშვილისა.

ეს წიგნი ლამაზათ და სუფთად არის დაბეჭდილი; ფასობს 40 კაპ. (168 გვერდია). დაწვრილებით ამ წიგნზედ ამ დღეებში მოვილაპარაკებთ.

* * *

ჩვენ გვწერენ, რომ ხმა დავარდა, ვითომც ქუთაისში რკინის გზის მახლობლად სახელმწიფო ალაგები მუქთათ ეძლევათო და ამის გამო ვინც არა გვგონია, სთხრის ამ ალაგებს ნიჩბით და ბარით; სცდილობს დაისაკუთროს და ამაზედ ბევრჯერ ჩხუბიც მომხდარა; ცრუ-ადვოკატები, რასაკვირველია, ერევიან ამ საქმეში და თავიანთ საბრალო ხალხსა ჰპოულობენ. რასაკვირველია, სახელმწიფო ალაგებს ქუთაისში არავის არ ურიგებენ და თუ ეს ხმა გავრცელებულა მართლა ხალხში, ალბათ ამავე ცრუ-ადვოკატების წყალობით, რომელთაც ეტყობათ სხვა დავები მოჰკლებიათ და ახალი სადაოების გაჩენა მოუნდომებიათ.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ ქართველი აკტიორები, სამშაბათს, 24 ივნის აპირებენ ქართულის წარმოდგენის გამართვას საზაფხულო თეატრში. წარმოადგენენ: „ორი ქორწილი ერთად“ კომ. ორ მოქმედებათ ა. მოჩხუბარიძისა და „რა ჭირს გადავეკიდე“ გადმოკეთებული ვოდევილი ქ. ყიფიანისა.

ამ წარმოდგენაში, მონაწილეობას მიიღებს ახლად ჩამოსული მომღერალი ბ. ქორიძე.

* * *

„კავკაზსა“ სწერენ ბათომიდამ, რომ ბათომის მაზრის უფროს მოსვლია ქაღალდი ტრაპიზონის ვალისაგან, გადმოსახლებულებს ვეღარ მივიღებთო. საზარელ მდგომარეობაში ჩაცვივნულან გადასასახლებლათ მომზადებული ბათომის მაზრის ქართველები ამ ამბის გამო. მრავალს დაეტოვებინა თავისი მიწა-წყალი; გაეყიდა ავეჯეულობა, საქონელი, სახლებიც კი მასალისათვის დაეშალა და უცდიდა თურმე გადასახლებას, მაგრამ ეხლა ოსმალეთის მთავრობას უარი გამოუცხადებია.

ბათომის მაზრის მმართველს მიუღია სესხათ მთავრობისაგან 15,000 მანეთი ღარიბებისთვის დასარიგებლათ და ბევრს ამ ფულით სული მოუბრუნებია და უკანვე დაბრუნებულა თავის ნაოხრებში.

## წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო! „დროების“ გუშინწინდელს ნომერში ერთი თეატრის კომიტეტის წევრი ამტკიცებს, რომ ვითომც მე ამ წლის იანვრიდამ სულ

---

ბევრი საქრობი მაშინები მოიგონეს, ბევრი ამტკიცებს რომ ჩემი მაშინა იმისთანაა, რომ წუთსვე გააქრობს რაც უნდა დიდი ცეცხლი იყოს, მაგრამ იმედები ხშირად, ძალიან ხშირად, ცრუვდებიან.

ერთი ფრანცუზული გაზეთი სასაცილოთ იგდებს ამ ახალ-ახალ ცეცხლის გამქრობებს: ხშირად შეხვდება კაცი გაზეთში განცხადებას, რომლითაც საზოგადოებას იწვევენ ახალის, საუკეთესო ცეცხლის-გამქრობ მაშინის გასაშინჯათაო; დანიშნულს დღეს ბევრი უქმი კაცი მიდის მაშინის სანახავად. შეიყრება თუ არა ხალხი, აწყობენ ერთი-ერთმანერთზედ ბოჩკებს, აშენებენ დიდროვანს ჯიხურებს, მიასხმენ ნავთს და წაუკიდებენ ცეცხლს; ნავთი აბრიალდება, ხეები ტკაცუნს დაიწყებენ; ავარდება შავი ბოლი, ამ დროს „ახალის მაშინის“ გამომგონი მოხსნის კრანტს თავის მაშინას და „ასხურებს“ წყალს; რამდენიმე წუთის შემდეგ ცეცხლი ჩაჰქრება; ყოველის მხრიდამ ტაშის-კვრა მოისმის; ყველანი განცვიფრებულნი არიან: იჰ, რა კარგი მაშინაა, იჰ რა კარგი მაშინაა! და რამდენიმე პირი ყიდულობს ამ მაშინას, მაგრამ ძნელი ეს არის, ნამდვილის ცეცხლის დროს, როდესაც განგებ არ არის წაკიდებული ამ მაშინას ძალა არა აქვს-რა.

ახლა კიდევ წაიკითხავს კაცი მეორე განცხადებას ახალს საუკეთესო ცეცხლის გამქრობს მაშინაზედ; კიდევ მიდის ხალხი გამოსაცდელად; კიდევ ტაშს უკრავს, კიდევ ყიდულობს „საუკეთესო“ მაშინას, და ხელში ორი „საუკეთესო“ მაშინა შერჩება, მაგრამ ის ყველაზედ საუკეთესო იქნება, მაინც თავისი სახლები ცეცხლისაგან მზღვეველს საზოგადოებაში შეიტანოს.

საკვირველია, თუ კი ეს მაშინები განგებ წაკიდებულს ცეცხლს აქრობენ, რა მიზეზია, რომ შემთხვევით წაკიდებულს არას უშველიან?

მიზეზის გაგება ძნელი არ არის. როდესაც მაშინის გამოცდას აპირებენ, განგებ იმისთანა საწვავს მასალას ირჩევენ, უცებ აბრიალდეს და სიცხოველე კი დიდი არა ჰქონდეს-რა. მაშინიდამ შესხმული წყალი ამ მცირეს სიცხოველეს მალე ბოლოს უღებს; მაგრამ როდესაც ცეცხლი სახლს მოედება, მასალას როდილა ირჩევს: სიცხოველე თითქო შიგ უჯდება შენობას და მაშინ ამ გვარი ხუხულების გამოსადეგი მაშინები ველარას იქმონენ. ეს მაშინები მხოლოთ პირველში გამოდგებიან, ვიდრე ცეცხლი შენობას არ მოსდებია!

* * *

ყველაზედ კარგი ღონე ის იქნება, რომ ყველა სახლში წყალი იყოს უხვათ გაყვანილი და გაჭირებას დროს შეეძლოთ ამ წყლის ხმარება ცეცხლის გასაქრობათ. რასაკვირველია, ჩვენში ამაზედ ლაპარაკი ჯერ ადრეა; ჩვენ ჯერ დასალევი წყალიც არა გვაქვს გაყვანილი; მაგრამ ზოგან კი ამ ღონეს მიმართეს.

პარიჟში ეხლა აპირებენ არამც თუ ყოველს სახლში, ყოველს ეტაჟში წყლის გაყვანას და ისე უნდათ მოამართონ, რომ ეს წყალი დიდის ძალით გამოდიოდეს და ცეცხლის წაკიდების დროს შეეძლოს იმისი გაქრობა.

* * *

შაქარი რომ ჩააგდოს კაცმა წყალში, წვრილ-წვრილი ჰაერის ბუშტები დაიწყებენ ზემოთ ამოსვლას, რადგან შაქარში მყოფის ჰაერის ალაგს წყალი იჭერს, ჰაერს კი ზემოთ ატივტივებს.

გამოჩენილს ქიმიკოსს დიუმას შეუტყვია, რომ არამც თუ შაქარში და ნახშირში არის ჰაერგვარი, თვით მტკიცე ლითონებშიაც კი მეტი არისო. მაგ. ვერცხლში მჟავბადია თითქო გახვეული; მეორე მტკიცე ლითონს, ალუმინიუმში —წყალმბადი და სხვ. და თუ ეს ლითონები გავადნეთ ეს ჰაერგვარნი მოშორდებიანო. ეს ამბავი იმითია საინტერესო, რომ ზოგიერთ სწავლულთ ეგონათ შეიძლება ჰაერის ძალზედ შეთხელება, თუ ლითონის ჭურჭლიდამ ამ ჰაერს გამოვწოვთო. ეხლა კი ისე გამოდის, რომ თუ ჰაერს ვამოვწოვთ, ამ ლითონში შეხვეული ჰაერგვარი ლითონიდამ გამოვა და ჭურჭელში მოუქცევა; ლითონზედ ჰკიდია როგორი ჰაერგვარი მოჰყვება ამ ჭურჭელში.

თუ ჭურჭელი მაგ. ვერცხლისაა, მჟავბადი მოჰყვება; თუ ელუმინიუმისა—წყალმბადი.

მ.

27 მან. და 50 კაპ. მეტი არ გადამხდევინებია ჯარიმათ. დასამტკიცებლათ სიმართლისა მოჰყავს ქართულის თეატრის დასის ანგარიშის წიგნი, საიდამაცა სჩანს რომ მე მარტში დამკლებია 3 მან. და კაპ. და მაისში 25 მან. რამდენათაც მე მახსოვს და ზოგიერთ ჩემ ამხანაგებსაც, თუმცა ჩვენ მართალია ყოველთვის ხელს ვაწერდით სრულ ჯამაგირის მიღებაში, მაგრამ ჯარიმებსაც ზედ მოდიოდნენ. მაგ. კვირის ჯამაგირი აქტიორისა—12 მან. 50 კაპ., ჯარიმა—3 მან., წმინდა ჯამაგირი—9 მან. 50 კოპ., აქტიორი კი ხელს აწერდა 12 მან. 50 კოპ. მიღებაზე. ამას ამიტომ სჩადიოდნენ რომ გამოეანგარიშნათ თვის დანახარჯი აქტიორებზე. ცალკე წიგნი ჯარიმების ჩასაწერათ კომიტეტს არა ჰქონია.

მეტის მეტობაა იმ კაცისაგან, რომელიც დაიწყებს დამტკიცებას ვ. აბაშიძეს 28 მან. და კაპ. მეტი არ დაჰკლებია ჯამაგირიდამ ამ ხუთი თვის განმავლობაშიო.

ჩემდა საუბედუროთ ველარ მაგონდება ყველა ის ჯარიმები რომლებიც ასე უწყალოდ გარდამხდევინებია კომიტეტის წყალობით. ზოგიერთებს კი მოვაგონებ კომიტეტის წევრთ. გ. თუმანიშვილმა გადამახდევინა 8 მან. (თვე არ მახსოვს) იმიტომ რომ მე და ბ. თუმანიშვილს ლაპარაკი მოგვივიდა კულისებში. დ. ერისთავმა გადამახდევინა 3 მან. ¼ საათის დაგვიანებისათვის რეპეტიციაზე; ი. მაჩაბელმა გადამახდევინა 37 მან. 50 კაპ: —12 მან. და 50 კაპ. მარტში „ადვოკატი მელაძის“ რეპეტიციის დროს და მაისში 25 მან. ყაზბეგის სახლში. ი. ჭავჭავაძემ ივნისში გადამახდევინა 25 მან. ვითომ უმართებულო ქცევისათვის და რეპეტიციიდამ გაქცევისათვის. ეს სამი უკანასკნელი ჯარიმა შეადგენს 62 მან. და 50 კაპ.

ახლა ვიკითხოთ მიზეზი, მართლა ვიყავი ღირსი თუ არა ამ ჯარიმების გადახდევინებისა?

ზ. მაჩაბლისათვის მესამედ იყო დანიშნული წარმოსადგენად „ადვოკატი მელაძე.“ რეპეტიციის დროს ი. მაჩაბელმა მიბძანა სწორეთ ისე მეთამაშნა, როგორც თვით წარმოდგენის დღეს. ამის ასრულება მე ვერ შევიძელი და ამიტომაც 12 მან. და 50 კაპ. გადამხდევინა. ამავე ი. მაჩაბელმა ა. ყაზიბეგის სახლში 25 მან. გადამახდევინა, იმიტომ რომ გავბედე და სიტყვა შეუბრუნე. ვინ იყო ჩვენში მართალი და მტყუანი ამას არც თითონ მასპინძელი დაჰფიცავს და არც დამსწრენი. ილია ჭავჭავაძეს რაღა დაუშავე? რეპეტიციაზე გიახელით დანიშნულ დროს. ვიცდიდი, სუფლიორი არსად არის; ვკითხავ ერთს, მეორეს, გვეღირსება რეპეტიცია თუ არა? ყველამ მიპასუხა სუფლიორი არა გვყავსო (ნუ დაივიწყებთ უკანასკნელი რეპეტიცია იყო; გარდა ამისა ახალი პიესა, რომლის უმთავრესი როლი მე მქონდა) ვკითხე რეჟისიორს (ილია ჭავჭავაძეს) სუფლიორისა.—მე რავიციო. რაღა გამეკეთებინა ავდექი და წამოველი. 25მან. შტრაფი დამაწერეს. როგორ მოგწონთ? აქ მოგაგონებთ, 13 მაისს 25 მან. გადამახდევინეს და 11 ივნისს აგრეთვე 25 მან. მაშასადამე ერთი თვე უჯამაგიროთ ვემსახურებოდი კომიტეტს. აი ეს ხალხი მევე მამტყუნებენ და მაშავებენ საზოგადოების წინ!

აქტიორი ვასილი აბაშიძე.

ქ. თბილისი. 16 ივნისი.

# სამართალი

## გიორგი პ. მიქელაძის საქმე *)

**სამხედრო დამცველი ტურჯევიჩი.** ბატონნო მოსამართლენო! მე კვალში ჩავუდგები და მუხლით-მუხლამდე მკაცრად განვიხილავ იმ საბუთებს, რომელთ საშუალებითაც ბატონი პროკურორი ცდილობს ჩემი მრწმუნებელის გამტყუნებას.

უეჭველი გამამტყუნებელი საბუთი ბ. პროკურორისათვის აჯიაშვილის და შალვას ჩვენება არის, რომელთაც წინასწარს გამოძიების დროს და სასამართლოს დარბაზშიაც თქვეს მიქელაძე ერთ-ერთი იმ ორ ავაზაკთაგანი იყო, რომელიც ქურანს ცხენზე იჯდაო.

ჩემის აზრით ეს ჩვენება ვერაფერი საბუთია: ურია და შალვა ამ საქმეში მოწმეთ კი არა დამნაშავეთ არიან. თითონ აჯიაშვილმა სთქვა, რომ აბაშის სადგურში 8 საათს და 44 წამ. უნდა მოვსულიყავიო. შალვასთან ერთად წასვლა მას გათენებამდის ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ მაინც ისე გვიან დაიძრა დილას ადგილიდამ, თუმც ბულაევები კი უჩქარიდნენ, რომ რვა საათზე მხოლოდ იყვნენ სადაც ავაზაკები დაეცნენ. სჩანს ურიას მოსკოვში წასვლა არ აწუხებდა.

თუ განვიზრახავთ, რომ ურიას და შალვას მცბიერი შეთქმულობა ჰქონდათ ბულაევებზე, მაშინ მივხვდებით, რომ ეს დაგვიანება გამოანგარიშებული ჰქონდათ. საჭირო იყო შეეტყობინებინათ ავაზაკებისათვის, რომ ბულაევა მათ მიჰყვებოდა; ეს შეტყობინება რასაკვირველია დროს მოითხოვდა. ამიტომაც ისინი იმ დროს გამგზავრდენ, როცა რკინის-გზის მატარებელს ველარ მიასწრობდნენ; ავაზაკები კი ყველაფრით მზად იყვნენ...

თითონ შალვამ სთქვა, რომ ავაზაკებს გავექცევიო. ნეტავ რატომ? ან ვერ დაეწეოდა იგი იმათ, ან თუ დაეწეოდა და იმასაც სტეფანე ბულაევას ხვედრი დაადგებოდა. მაგრამ არა! შალვამ მოიყვანა ცხენი, რომელიც ვითომც ავაზაკებისათვის წაერთმიოს.

მოწმემ ლაპარტყავამ სთქვა, რომ ავაზაკნი ამ ცხენის სუტ-წართმევის შემდეგაც ორი ცხენით მიდიოდნენო. მაშასადამე იმას ან სულ არ წაურთმევია ცხენი, ან და იმის და ავაზაკთა შორის შეთქმა ყოფილა, და უკანასკნელთ ხალხის თვალ-ასახვევად დაუტოვებიათ ცხენი. ასე რომ არ ყოფილიყო, ავაზაკნი არამც-და-არამც არ დატოვებდნენ არავითარ ნიშანს და ნამეტურ ცხენს. მაშასადამე ურიის და შალვას ჩვენება არაა დასაჯერებელი.

**პროკურორი ამბობს** პავლე ბულაევა იმიტომ ვერ ცნობილობს მიქელაძეს იმ ავაზაკობაში მონაწილეობის მიმღებად, რომ უნდა ურიის გამტყუნება და 4,000 მან. მიღებაო. ეს რომ ასე ყოფილიყო, იგი წინასწარ გამოძიების დროსაც ამ რიგ ჩვენებას მისცემდა გამომძიებელს, მაგრამ მაშინ, როგორც მოგეხსენებათ, მან მიქელაძეზე სთქვა, ეს ერია იმ ორს ავაზაკებშიო. რატომ სთქვა მაშინ ეს? იმიტომ რომ, მაშინ მიქელაძეს წვერი შეღებილი ჰქონდა, რის გამოც მთელი მისი სახე ერთ-ერთის იმ ორს ავავაზკთაგანის სახეს დამსგავსებოდა.

პროკურორი ამბობს, რომ რადგანც მიქელაძე კ-ნ. ნატ. მიქ. იდგა ამ ავაზაკობამდის და ამ დრომდის დაეკარგა ნატ. ცხენი, რომელიც ვერ მონახეს; მაშასადამე არავის არ შეეძლო მიქელაძის გარდა ამ ცხენის წაყვანა. გ. მიქელაძის დგომა ნატ. მიქელაძისასთან მკვლელობამდი არაფრით არ არის დამტკიცებული და ცხენის კუთვნილობას ამტკიცებს მხოლოდ დიმიტრი მიქელაძე, რომელიც ნატ. გადამტერებულია. იოსებ მიქელაძე კი ამბობს, რომ კ-ნ. ნატ. მიქელაძისას ცხენი კი არ დაკარგვია, გაყიდული იყოო გ. მიქელაძის დაჭირვის შემდეგ. ეს საბუთებიც საკმაოა ბრალდებულის გასამართლებლად, მაგრამ მე კიდევ მოვიყვან.

თითონ აჯიშვილმა სთქვა, ჩემი და ბულაევების ერთად წასვლა მხოლოდ წინღამით გადაწყდაო; მაშასადამე სხვა არავის არ ეცოდინებოდა ეს. მაშ რაფერ გაჩნდა ბანძიდამ 26 ვერსით მოშორებულს ქუთაისში მცხოვრები მიქელაძე, რომელსაც კიდეც რომ შეეტყო წინ-ღამით ამხანაგს ვერ იშოვიდა დროზე ადგილზე მისასწრებლად. ვსთქვათ, რომ მოასწრებდა, მაშინ ნუ თუ მას გზაზედ ვერ იცნობდენ? ქაქიტელაშვილი ამბობს, რომ ურიამ გიორგი მიქელაძისათვის გადასაცემად შეაძლია მას 300 მან. აგებ მიქელაძეს თავის-თავზედ მიაღებიო ეს ავაზაკობა, ხომ კატორღა მოელის მაინცაო. პროკურორის აზრით, აჯიაშვილი ვერ გაენდობოდა ქაქიტელაშვილს, რადგან ამითი იმ მკვლელობაში გამამტყუნებელ საბუთს შეიძენდა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ იმას იმედი ჰქონდა გ. მიქელაძე თავის-თავზე გადიბრალებს ავაზაკობასო და ჩემზედ იჭვიც არავის ექნებაო. ქობეშავიძე პირ-და-პირ ამბობს, რომ როცა მე გავარდნილი ვიყავი ვნახე, აგრეთვე გივარდნილი მაჭავარიანი, რომელმაც მითხრა ბულავა მე მოვკალიო. პროკურორი ამბობს, თუ ეს ჩვენება ახლად შეთხზული არ არის, რატომ არ ითხოვა მიქელაძემ, რომ ქობეშავიძესთვის წინასწარ გამოძიების დროს ეკითხნათო. მე მოგახსენებთ, რომ მიქელაძემ ერთხელ კი არა, რამდენჯერმე სთხოვა გამომძიებელს ქობეშავიძესთვის ეკითხნა, მაგრამ გამომძიებელმა არ შეიწყნარა ეს თხოვნა.

მიქელაძეს აბრალებენ აგრეთვე იარაღით წინააღმდეგობას. პროკურორი ამ ბრალს ამტკიცებს იმისთანა მოწმეების ჩვენებაზე დამყარებით, როგორიც არის, მაგალითად, პრისტავი შლენტი. ამ შლენტმა, როგორც სასამართლოში დამტკიცდა, ასროლინა მხედრებს თოფები ნატ. მიქელაძისასი სახლისთვის და რითი გაიმართლოს თავი ამ ტყვილა-უბრალოდ იარაღის ხმარებიდამ, თუ არ მოგონებით, რომ მიქელაძე გვეწინააღმდეგებოდაო? ოფიცერი მიქაბერიძე და მხედრებიც ამას უჩვენებენ. რატომ? მიტომ რომ, თავიანთ სუტ-მამაცობისათვის უნდათ ჯილდოები მიიღონ.

მიუდგომელი მოწმენი ს. მიქელაძე და ხაჯაია უარჰყოფენ მიქელაძის მხრით წინააღმდეგობას. მიქელაძეს წინააღმდეგობა რომ გაეწია იარაღით, ნუ თუ ორმოცს კაცში ვერც ერთი ვერ დასჭრა მაინც?

ამ საბუთების ძალით, ბ.ბ. მოსამართლენო, გთხოვთ სრულიად გაამართლოთ ბრალდებული გ. მიქელაძე.

გ. მიქელაძე, თავის „უკანასკნელ სიტყვაში,“ რომელიც ნახევარ საათს გრძელდებოდა, სხვათა შორის უფრო ყურადღებას აქცევდა თავის *alibi*“-ს და უკმაყოფილებას აცხადებდა, რომ ალი-ფაშა არ გამოიწვიეს სასამართლოში. რაც შეეხება წინააღმდეგობას, რომელიც გაეწიოს ვითომც მას, შლენტის ოცნებისაგან შეთხზულია და და მხედართაგან გამოგონილიო. სამზღვარზე დგომის დროს ეს მხედრები ერთმანეთს სჭრიან და ამ ჭრილობებს მტერს აბრალებენ, იმიტომ რომ აგებ „მენდალი“ ან „ჯვარი“ მივიღოთო, და რასაკვირველია, ამისთანა კაცები ჩემის დაჭერით ისარგებლებდენ და წინააღმდეგობას დამწამებდენ თავიანთი სუტ-სიმამაცის საქებრად!

მოსამართლენი გავიდნენ განჩინების დასადგენად, და მოკლე ხნის შემდეგ გამოიტანეს გამართლების განჩინება.

(დასასრული)

*) „დროება“ № 128.


# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ვართანოვის წიგნის მაღაზიაში

**ალექსი**

ზღაპარი აკაკისა

ფასი თითო წიგნისა 20 კ.

(6—2)

# კანტორა
ოდესის ვაჭრის
# გრ. ზალინოვისა

(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროვის პროსპექტი, ფიშერის სახლი)

ჭეიდულობს და ჭყიდის, კომმისიით, ყოველ გვარ საქონელს.

აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის გასასაღებლად.

წარმომადგენელია რუსის და სამზღვარ გარეთის ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სავაჭრო სახლებისა.

აქვე ნარდათ ჭყიდის და ჭყიდულობს, გროშე კამისიის ფქვილს, საწვრიმლო და კოლონიალურ საქონელს.

(30—18)

---

**პარუსინა**, ბუმაზეია, ტრიკო, დრაპი, ხავერდი მებელისა და ფაეტონებისათვის, უნაგირები, ფოჩტის ქაღალდი და სხვ. 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში**.

**მურაბა** გემრიელი, კანფეტიბი, ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ჭურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში**.

**კარბოლის** პარამოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—**ინგლისის მაღაზიაში**.

(40—10)

---

**„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების"** მმართველობა აცნობებს თფილისში მცხოვრებთ ქართველთა, რომ მამავალ პირველ ენკენისთვიდამ შუა ქალაქში გაიმართება სახალხო შკოლა, **ქალებისა** და **ვაჟებისათვის ერთად**.

შკოლაში ასწავლიან: ქართულ და რუსულ წერა-კითხვას, სამღვრთო წერილს, ანგარიშის (არითმეტიკას), გალობას და ქალებს ჭრა-კერვასაც.

ამ შკოლაში იქნებიან მიღებულნი ყმაწვილები ხნით შვიდის წლისანი და არა უმეტეს ცხრა წლისა.

სულ იქნება სამოცი ადგილი; ამ რიცხვიდამ ათი გადადებულია ღარიბთათვის, რომელნიც უფასოდ მიიღებიან, და ორმოც-და-ათმა კი უნდა შემოიტანოს შკოლაში თითო მანეთი, ყოველ თვის დამდეგს, მკათათვისა და მარიამობისთვის გარდა.

ვისაც ჰსურს ყმაწვილების მიბარება ამ შკოლაში, უნდა ან პირად გამოუცხადოს სურვილი საზოგადოების სეკრეტარს ბ. მეუნარგიას, რომელიც სცხოვრობს მთაწმინდის ქუჩაზე (Давыдовская улица), № 21, ბრიქუროვის სახლებში, ან გამოგზავნოს აქ ადგილსავე განცხადება.

(5—4)

---

კავკასიის აქეთა მხრის საქალებო ინსტიტუტის რჩევა უცხადებს, კანდიდატების მშობლობლებსა, ნათესავებსა და აპეკუნებს, რომ კენჭის ყრით, რომელიც ამ 4 ივნისს მოხდა ინსტიტუტში პანსიონერკებათ მიღებული არიან შემდეგი კანდიდატკები:

ადგილობრივ განყოფილებაში: სრულიად ობლები—მართა გედევანოვისა აზნაურის ქალი და ელენე შაბუროვისა პრაპორსჩიკის ქალი; მამით-ობოლი—პოლიევქსკის ასესორის ქალი ეკატერინე ფუდინოვისა; დედ-მამით ობოლი ეკატერინე მელიქ-სარქისოვისა ლუბერნსკი სეკრეტრის ქალი და ოლგა ასლამაზოვისა პარუჩიკის ქალი.

რუსულ განყოფილებაში: სრულიად ობოლი ნადეჟდა მარკევიჩ კაპიტნის ქალი, დედ-მამით ობოლი—მარიამ ანანია კაპიტნის ქალი.

(3—3)

---

დაიბეჭდა და ისყიდება VI ტომი

„ცნობათა კრებისა კავკაზიაზედ"

გამოცემა კავკასიის სტატისტიკოს კომიტეტისა.

ამ წიგნის შინაარსია:

„თბილისის ერთ-დღიური აღწერა 25 მარტს 1876 წ."

სულ არის 570 გვერდი *in* 4, 19-ს დამატებით, სახელდობრ:

1) 15 ლიტოგრაფიული დახაზული ტაბლიცები.

2) 2 პლანი თბილისისა შარდენსა 1671 წ.) და ტურნეფორისა (1701 წ.)

3) კოპიო თბილისის პლანისა შედგენილი მეფის ძის ვახუშტისაგან.

4) ეხლანდელის თბილისის პლანი.

ეს წიგნი ისყიდება შემდეგ წიგნების მაღაზიაში: ბერენშტამთან, კავკაზიის წიგნის სავაჭროში, ცენტრალურს წიგნის სავაჭროში. ფასი 4 მანეთი. ვისაც დაბარება სურს ფოჩტით, ხუთი გირვანქის გაგზავნის ფასი გამოგზავნოს.

(4—4)

---

**იაგორ კასუმოვის** და კომპ. კანტორაში ისყიდება დაბეჭდილი კონტრაქტები (პირობა) სახლის, დუქნების, მაღაზიების, ცარიელ ადგილების და სხ. ქირაობაზედ.

თითო ამ გვარი კანტრაქტის ფურცელი ღირს **შაურად**.

(10—7)

---

ჩაი! ჩაი! ჩაი!

როგორც იქნა ბოლოს მოვიდა ინგლისის მაღაზიაში დიდ-ძალი ჩაი პირდა-პირ პლანტატორებისაგან და ისყიდება: 1 მან. 10 კაპ., 1 მან. 20 კაპ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80 კ. და საუკეთესო ჩაი 2 მან. გირვანქა, უქაღალდოთ, ე. ი. 25% უფრო იაფი და უკეთესი, ვიდრე სხვაგან სადმე.

სად არის ინგლისის მაღაზია?—არწრუნის ქარვასლაში.

(20—8)

---

# ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ კუკიაში, ვარანცოვის წყლის-პირა ქუჩაზე, ვარლამოვის ცოლის სახლებში არის გასაქირავებელი 5 ოთახი თავის სამზარეულოთი, სარაით და სიჯინიბოთი.

დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება თფილისის ქალაქის გამგეობაში.

(3—3)

---

კვირაცხოვლისა და შემდეგის კვირის განმავალობაში

# ინგლისის მაღაზიაში

20% უფრო იაფად

გაისყიდება **სხვა-და-სხვა ინგლისის საქონელი**.

(10—10)

---

შეკოლადი და კაკაო

ფრეი და შვილები, რომლებმაც პარიჟში გამოფენის დროს ოქროს მენდალი დაიმსახურეს, როგორც იქნა ბოლოს მიღებულ იქმნენ ინგლისის მაღაზიაში. იქვე მიიღეს აგრეთვე მრავალი ჩაი.

(10—7)

---

სოფელში და მოგზაურთათვის

დასაკეცი კრაოტები, კრესლო-კრაოტები, სკამები, წყლის საწმენდი მაშინები, დანები, თეფშები, ჩემოდნები, ჩაი, ბისკვიტები, კანფეტები, ციტრატმაგნეზია და თევზის საჭერი ჯოხები ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში**—3 მანეთიდამ 8 მანეთამდინ.

ნამდვილი ინგლისის თოფები და რევოლვერები ისყიდება ინგლისის მაღაზიაში 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე.

---

წამოსასხმელი! წამოსასხმელი! წამოსასხმელი!!

ინგლისის მაღაზიაში 3 მანეთად 25 კაპეიკად!

წინდები და ჩულქები დუჟინი 2 მანეთიდამ!

(30—9)

---

**სლესარნი ზავედენია** გაიღო ტალახის ქუჩაში, სერგეი მელიქოვის სახლებში, № 3. ვაკეთებ რკინის ბალკონსა, კიბეებსა, საფლავის მოაჯირებსა შენობისთვის შესაკრავ რკინებსა და აგრეთვე ყოველგვარ ზაკაზსა რკინეულისასა იაფ ფასათ.

სლესარი დავით გზირიევი.

(6—5)

---

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ **ნოქალაქევის სამკურნალო წყლები** უწყებული თვისის მკურნალეობითა აღწერილობისა-მებრ დოკტორის პლეშკოვსკისა და სხვა ცნობაებით, რომელიც იმყოფება ქუთაისის გუბერნიაში სენაკის მაზრაში სოფელს ნოქალაქევს, 18 ვერსტზედ დაბა ახალ-სენაკიდამ (სტანცია რკინის გზისა) უკანასკნელის 20 წლის განმავალობაში იყო მივარდნილი, უპატრონოთ მიტოვებული, ახლა კი ეს წყლები ჩემს განკარგულებაში არის საიჯარადროდ და კიდევაც მოყვანილია მადნის წყალი სრულს წესიერებაში. ეს სამკურნალო წყალი სხვა წყლებთაგან განყოფილია და აყვანილია მიწის საშუალობით 10 არშინზედ და გაშენებულია აუზები (ვანნები).

მსურველთ შეუძლიანთ ისარგებლონ აღნიშნულის წყლებით ფრიად ზომიერის ფასით და მრთელის ჰაერით, რომლითაც გამოჩენილია ნოქალაქევი.

მეორე გილდის ვაჭარი
ივანე ლაზარის ძე გვიშიანი.

(შ.) (12—11)

---

პატენტიანი შროტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარქევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ დუჟინი; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში**.

(100—15)

---

უკანასკნელი გასყიდვა

თოფები, რევოლვერები, დანები, კალმები, დუხები, საპნები, წინდები ჩულქები, ცხვირ-სახოცები და სხვ. და სხვ.

ინგლისურ მაღაზიაში.

(10—8)

---

ახლანდელ დიდს

# გამოფენის

დროს,

ოლეოგრაფიული სურათები იყიდება 20% დაკლებით, მაკ-ინტოშები (მოსახურავები) 6 მანეთიდამ 20-მდე; შროთქები მოსაფხეკებითურთ თითო 75 კ.; შეკვეთილია შეფფილდში განსაკუთრებით ინგლისურ მაღაზიისთვის საუკეთესო სამართებლები, რწყვილი ბუდეებით ღირს 4 მან.; შეფფილდის დანები ჩანგლებიანათ დუჟინი 2 მ. 75 კაპეიკიდამ 20-მანეთამდე. ჩაინიკები ბრიტანიის მეტალისაგან 30 კაპეიკიდამ 3 მანეთამდე; ციტრატ-მაგნეზია, ოსმალოს შარბათი და სამწეურალო კვერების ბანქა 70 კ.; საუკეთესო პორტ-ვეინი და ხერესი 1 მ. 40 კ. ბოთლი, და შამპანიის ღვინო ბოთლი 3 მან. და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში**.

(40—20)

Дозволено цензурою. Тифлисъ 19 Іюня 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი